პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 232 (4742) 23 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1972 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან






## -მშდ კომპლექსის სტარტებზე

ახლახან სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლეები მშდ კომპლექსის სარბიელზე გამოვიდნენ. მძლეოსნობაში ნორმატივები წარმატებით ჩააბარა 320 მოსწავლემ. მათგან განსაკუთრებული ქების ღირსნი არიან ნ. გუგუჩია, ნ. თოლორდავა, ნ. ბახტაძე, გ. პოლოკავა, ნ. ბიგვავა, ნ. ადამია, თ. ბენდელიანი, თ. ქელიძე, ზ. ნადარეიშვილი...

* * *

სურათზე: სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის გოგონები აბარებენ ნორმატივს მძლეოსნობაში.

გ. იაშვილის ტექსტი და ფოტო.

**27 ნოემბერს**

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დიდ დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია „ბანთიადის" ცენტრალური საბჭოს IX პლენუმი.

დღის წესრიგშია „XX ოლიმპიური თამაშების შედეგები და სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატების საქმეში „განთიადის" ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები" (მომხსენებელი—ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გორგობიანი).

დასაწყისი 16 ს.

## ტურისტული ზურგჩანთებით...

ამას წინათ დიდი გამოცოცხლება იყო სოხუმის რაიონში, გუმისთის ხეობაში, სადაც მოეწყო VII ტრადიციული ტურისტული შეკრება, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი.

შეკრების მონაწილე ტურისტებმა დანიშნულ დროზე მოიყარეს თავი. დებულების თანახმად გათვალისწინებული მარშრუტების გავლის შესახებ ტურიზმისა და ექსკურსიების აფხაზეთის საოლქო საბჭოს ინსტრუქტორს — შეჯიბრების მთავარ მსაჯს ბ. ზაურუმოვს პატაკი ჩააბარეს ტყვარჩელის, გუდაუთის, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური კვლევითი ინსტიტუტის, სოხუმის პროფესიული სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს", სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებმა.

შემდეგ გაიმართა ასპარეზობა ესტაფეტებში, რომელიც შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა: ზურგჩანთაში საჭურვლის ჩალაგება და რბენა 100 მეტრზე, ხელყუმბარის მიზანში ტყორცნა, პნევმატური თოფის სროლა, რბენა წინაღობების გადალახვით, წყალში გასვლა, მეკავშირეობა, კარვის გაშლა და სხვ.

ამ საინტერესო შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური კვლევითი ინსტიტუტის ტურისტებმა (გუნდის მწვრთნელი ნ. ჩხეიძე). II ადგილი დაიკავეს ტყვარჩელელებმა, ხოლო III — „სოხუმხელსაწყოს" წარმომადგენლებმა.

სამწუხაროა, რომ ასეთ საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, ინდუსტრიული ტექნიკუმის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, აგრეთვე, გალის, გაგრისა და ოჩამჩირის გუნდებს.

გ. ჟორდანია,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
სოხუმი.

◆ სან-ანტონიო (ტეხასის შტატი), 22 ნოემბერი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის III ტურში პეტროსიანმა სძლია გლიგორიჩს (იუგოსლავია). საბჭოთა დიდოსტატმა ძლიერად შეუტია მეტოქეს, ორი პაიკი მოიგო და როცა შავების პოზიციას კიდევ უფრო შევიწროებას უქადდა, გლიგორიჩმა 39-ე სვლაზე საათი გააჩერა. კარპოვი 33-ე სვლაზე დაუზავდა ლარსენს (დანია). ბრაუნმა (ავსტრალია) 24-ე სვლაზე ფარ-ხმალი დააყრევინა კაპლანს (პუერტო-რიკო). ზედიზედ მესამე პარტია წააგო სმითმა (აშშ): ამჯერად მას სათლზმა (კანადა) აჯობა. პროგნოზების საწინააღმდეგოდ, წარმატებით განაგრძობს თამაშს მექსიკელი კამპოს-ლოპესი. იგი ევანსს (აშშ) დაუზავდა და ახლა 2 ქულა აქვს. ამდენივე ქულა დაუგროვდა პეტროსიანს, წინ კი ლარსენია— 2,5 ქულა. კერესის პარტია სეიდისთან (აშშ) რთულ მდგომარეობაშია გადადებული. გადაიდო მეკინგ (ბრაზილია) — ჰორტის (ჩეხოსლოვაკია) პარტიაც, ხოლო ბირნ (აშშ) — პორტიშის (უნგრეთი) შეხვედრა ამერიკელი მოჭადრაკის ავადმყოფობის გამო არ შემდგარა. კენჭისყრამ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განალაგა: 1. კერესი, 2. მეკინგი, 3. სეიდი, 4. ბრაუნი, 5. ლარსენი, 6. კამპოს-ლოპესი, 7. სათლზი, 8. ბირნი, 9. პეტროსიანი, 10. გლიგორიჩი, 11. პორტიში, 12. სმითი, 13. ევანსი, 14. კარპოვი, 15. კაპლანი, 16. ჰორტი.

◆ ვარშავა, 22 ნოემბერი. მშვიდობის მომავალი ველორბოლისთვის სამზადისს შეუდგა 16 პოლონელი სპორტსმენი, რომელთაც ჯ. ლასაკი ავარჯიშებს. რბოლაში მონაწილეობის კანდიდატთა შორის ბევრი ახალგაზრდა ველოსიპედისტია. ვეტერანთაგან დარჩნენ ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში ორგზის გამარჯვებული რ. შურკოვსკი, ზ. კშეშოვეცი, ა. კაჩმარეკი და ქ. სტეცი.

## ტარკილი მეორე ადგილზეა

ჰავანაში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა ძალოსანთა პირად-გუნდური პირველობა „მეგობრობის" პრიზზე. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ბულგარეთის ძალოსნებმა. II ადგილი დაიკავა პოლონეთის გუნდმა, III — სსრ კავშირის კოლექტივმა.

სსრ კავშირის ძალოსნებიდან I ადგილზე გავიდა ერევნელი ათლეტი გ. ტოროსიანი. II ადგილი ხვდა სოხუმელ სპორტის ოსტატს რ. ტარკილს, რომელიც ამჯერად მძიმე წონაში გამოდიოდა. მან 175 კგ აკრა, 140 კგ აიტაცა და ორჭიდში 315 კგ მოაგროვა.

ლენინგრადელი ვ. სმირნოვი და მოსკოველი ვ. ქორინი III ადგილებზე გავიდნენ.



## მოსკოველი სტუდენტების ახალი წარმატება

წლევანდელ სპორტულ სეზონში ძალიან იმარჯვებს მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა. ამ ცოტა ხნის წინ მათ ქვეყნის ჩემპიონობა მოიხვეჭეს, გასულ სამშაბათს კი ამას სსრ კავშირის თასიც დაუმატეს.

მოსკოველი სტუდენტები გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წარმომადგენლებს, საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებს. თამაში მეტად დაძაბული გამოდგა, რაზეც კარგად მეტყველებს ანგარიში — 4:3 (1:0, 2:2, 1:1, 0:0).

მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა. ჯერ მეზღვაურთა გუნდის წევრმა ა. აკიმოვმა გაათანაბრა ანგარიში (3:3), მაგრამ მერე 4-მეტრიანი საჯარიმოს ზუსტად ტყორცნა ვერ შეძლო. ერთ მომენტში მეზღვაურთა გუნდის რომელიღაც წევრმა უხეშად ითამაშა, ნ. მელნიკოვმა კარგად გამოიყენა თავისი კოლექტივის რიცხობრივი უპირატესობა და გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

მეტოქეებს ახალი საზრუნავი აქვთ: მეზღვაურებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში, რომელიც 1 დეკემბერს დაიწყება ბუდაპეშტში, ხოლო სტუდენტებმა საბჭოთა სპორტის ღირსება უნდა დაიცვან გასად მოსკოვში, მსოფლიო უნივერსიადაში.



მწვერვალისკენ...

დ. კახურაშვილის ფოტო.

## მწვერვალებს მამაცები უყვართ

მთამსვლელთა მორიგ, XXIII საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი 70 გუნდმა განაცხადა, რომელთაც ზაფხულში პამირის, ტიან-შანისა და კავკასიონის მაღალი და რთული მწვერვალებისკენ აიღეს გეზი.

... 21 ნოემბერს სსრ კავშირის მთამსვლელობის ფედერაციამ საკავშირო სპორტკომიტეტის განყოფილებასთან ერთად განიხილა და დაამტკიცა მსაჯთა მთავარი კოლეგიის მიერ წარდგენილი ჩემპიონატის შედეგები.

ტექნიკურად რთული ასვლების კლასში უმაღლესი ჯილდოები პირველად მიიღო მთასვლურ ბანაკ „ალიბეკის" ხუთეულმა. მამაცი მთამსვლელები ხარკოველი ინჟინრის ი. გრიგორენკო-პრიგოდას ხელმძღვანელობით ავიდნენ უშბაზე (4710 მ ზღვის დონიდან) ჩრდილო-დასავლეთის უვალი კლდოვანი კედლით.

ვერცხლის მედლები მიიღეს ლენინგრადის „ტრუდის" სპორტსმენებმა, რომლებმაც ვ. სალონიკოვის ხელმძღვანელობით დაიპყრეს ჩაპდარის რთული მწვერვალი (5297) პამირში, ფანის მთებში. ბრინჯაოს მედლები ხვდათ კრასნოიარსკის „სპარტაკს" (ხელმძღვანელი ნ. ვლადარჩიკი) და მთასვლურ ბანაკ „არტუჩს" (ხელმძღვანელი — ლენინგრადელი ა. კოლჩინი). ორივე კოლექტივი ბოდხონის მწვერვალზე (5304) ავიდა, ასევე ფანის მთებში.

მაღლივ-ტექნიკურ კლასში საპრიზო ადგილებისთვის შვიდი გუნდი იბრძოდა. პირველობა ხვდა რვაკაციან ჯგუფს ვ. მალცევის ხელმძღვანელობით, რომელმაც პამირში ენგელსის პიკი (6510) დაიპყრო.

— ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რიცხვი სარეკორდო იყო, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მთამსვლელობის განყოფილების უფროსმა ვ. შატაევმა, — მაგრამ პამირისა და ტიან-შანის რაიონებში მძიმე მეტეოროლოგიური პირობების გამო ბევრმა მიატოვა მარშრუტი. ტრავერსების კლასში, მაგალითად, ბრძოლა მხოლოდ ერთმა კოლექტივმა დაამთავრა. შეიარაღებული ძალების ნაკრებმა მოსკოველი ვ. ნეკრასოვის ხელმძღვანელობით დაიპყრო კომუნისტური აკადემიისა და ლარმოს მწვერვალები პამირის მთებში, რისთვისაც ოქროს მედლები დაიმსახურა.

# მათი ფიქრები და სატკივარი

რეგბის წლევანდელი სეზონიც ისტორიის საკუთრება გახდა — სსრ კავშირში ყველა რანგის შეჯიბრებები დამთავრდა, გამოვლინდნენ ქვეყნის ჩემპიონატის მედალოსნები. უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა ბოლო ადგილზე გასული კიევის „დინამო". გაისად მის ადგილს დაიკავებს თბილისის „დინამო", რომელმაც ეს უფლება მეორე ლიგის გუნდების ტურნირში გამარჯვებით მოიპოვა.

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი უწინდელისგან ბევრით განსხვავდებოდა. ზოგიერთ სიახლეზე, საკავშირო ტურნირებში საქართველოს წამყვანი კოლექტივების მონაწილეობის შედეგებზე, გუნდების მერმისზე, რეზერვზე, ბაზებზე, მსაჯობის ხარისხზე რედაქციის რეგბის რეფერენტს ო. ბელაშვილს ესაუბრნენ საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი რეგბიში შ. სანთელაძე, თბილისის „ლოკომოტივის" უფროსი მწვრთნელი, თბილისის ზონალური ტიპური და ექსპერიმენტული საპროექტო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პროექტის მთავარი არქიტექტორი გ. ტონია, თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის გვირაბებისა და მეტროპოლიტენების ლაბორატორიის გამგე გ. მრელაშვილი, რესპუბლიკის რეგბის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე გ. გუდაძე.

გთავაზობთ ამ საუბარს.

თავდაპირველად სიტყვას ვაძლევთ შ. სანთელაძეს.

**● რა სისტემით ჩატარდება გაისად საკავშირო პირველობა და რა იქნება საჭირო ამ შეჯიბრებაში საქართველოს გუნდების წარმატებით მონაწილეობისთვის?**

— გათამაშების სისტემაში ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა, ჩემპიონატი რვა გუნდის მონაწილეობით ისევ ორ წრედ ჩატარდება, საქართველოს რეგბის მოყვარულებისთვის სიახლე მხოლოდ ის იქნება, რომ, თუ შარშან თბილისში შვიდი მატჩი ნახეს, ახალ სეზონში საკავშირო პირველობის თოთხმეტ ორთაბრძოლას დაესწრებიან. საქმე ის არის, რომ გასულ სეზონში ქვეყნის ჩემპიონობისთვის საქართველოდან მხოლოდ თბილისის „ლოკომოტივი" იბრძოდა, საგაისოდ კი უმაღლესი ტიტულისთვის თბილისის „დინამოც" ითამაშებს.

საკავშირო ჩემპიონატში თბილისის კოლექტივების წარმატებისთვის, ჩემი აზრით, პირველ ყოვლისა აუცილებელია გუნდების სათანადო ტაქტიკური, ტექნიკური და ფიზიკური მომზადება, მაგრამ მე, მაგალითად, არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია „საკუთარი კედლების" როლი, რაშიც პირველ ყოვლისა კეთილმოწყობილ ბაზასა და გულშემატკივართა ობიექტურ მხარდაჭერას ვგულისხმობ. ბაზას განსაკუთრებით ერთი გარემოების გამო აღვნიშნავ: როცა ესა თუ ის კოლექტივი სტუმრად ჩამოსულ ყველა მეტოქეს ერთსა და იმავე მინდორზე მასპინძლობს, თვითონ ძალაუნებურად ეჩვევა ამ სარბიელს. „საკუთარი მინდვრის" ფაქტორს ფეხბურთშიც მხოლოდ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა. თბილისში როგორ არის ამ მხრივ საქმე? ვეჭვობ, რომ „ლოკომოტივის" სტადიონის ძირითადი ბირთვი ფეხბურთელებმა დათმონ. მაშასადამე, უკიდურეს შემთხვევაში, სხვა ხეირიანი სარბიელის გამოყოფის საკითხი ამთავითვე უნდა გავარკვიოთ.

**● რას იტყვით რეგბის რეზერვის მომზადებაზე, როგორ უნდა გადაწყდეს ეს ამოცანა?**

— ამაზე მხოლოდ ერთი აზრი შეიძლება არსებობდეს: საჭიროა ნიჭიერი, ფიზიკურად ძლიერი და სხარტი ჭაბუკების შერჩევა, მათთან დაუღალავი შრომა. მე მგონია ურიგო არ იქნება, ამ საქმისთვის ქართული ეროვნული თამაში ლელობურთიც რომ გამოვიყენოთ. ლელოს თამაში ისე უნდა გარდავქმნათ, რომ რეგბის დაუახლოვდეს. ამით თვითონ ლელოს სანახაობრივი მხარეც მოიგებდა და ლელობურთელებიც რეგბისთვის სათანადო შევსებას მოგვცემდნენ.

**● რას იტყვით მსაჯობის ხარისხის გაუმჯობესებაზე?**

პირველად ასეთი შეკითხვით მივმართეთ მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის წევრს გ. გუდაძეს.

— სსრ კავშირის ჩემპიონატის ახალი სისტემით დაწყებამდე რეგბის საკავშირო ფედერაციამ და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მსაჯობის ხარისხის ამაღლებისთვის ოდესაში, მაისში გამართეს სემინარი, რომელზეც ყველა მსაჯი მიგვიწვიეს. სემინარებს საბჭოთა და რუმინელი სპეციალისტები უძღვებოდნენ. საკავშირო პირველობის ახლებურმა სისტემამ არბიტრების პასუხისმგებლობაც გაზარდა. უწინ, როცა ჩემპიონატი ორ ჯგუფად ტარდებოდა და ფინალური ტურნირიც სულ რაღაც ერთ თვეში იწურებოდა, მსაჯობის დონე მოთხოვნებს ჩამორჩებოდა, მაგრამ ყველა არბიტრი ერთ ქალაქში ვიყავით თავმოყრილი, ერთმანეთს თვალყურს ვადევნებდით და შეცდომებზეც მივუთითებდით. ახალი სისტემა ამის საშუალებას აღარ იძლევა.

სემინარმა იმედი გაამართლა. მსაჯობის დონე იმდენად ამაღლდა, რომ წლეულს მხოლოდ ერთი არბიტრის, ლენინგრადელი ივანუხინის მსაჯობა დაიწუნეს პირველივე კალენდარულ მატჩში, რომელშიც მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი და კიევის „სპარტაკი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ მსაჯობის გამო პროტესტი აღარ დაწერილა.

**● რა ღონისძიებანი დაისახა მომავალში საკავშირო ტურნირების უკეთ მომსახურებისთვის?**

— მორიგი საკავშირო სემინარის გამართვა თბილისშია განზრახული მაისში, საქართველოს პირველობის დროს. ეს ორმხრივ სასარგებლო ღონისძიებაა. მსაჯები ეგრეთ წოდებულ პრაქტიკულ კურსს რესპუბლიკურ ჩემპიონატში გაივლიან, საქართველოს პირველობის მონაწილეებს კი იმდენი კვალიფიციური მსაჯი მოემსახურება, რამდენიც არასოდეს ჰყოლიათ: დასამალი როდია, რესპუბლიკაში მსაჯების სიმცირე აშკარაა, ფაქტიურად არ არსებობს რესპუბლიკური ფედერაცია, რომელიც ამ საქმის მოგვარებისთვის ბრძოლაში დაგვეხმარებოდა. არაკვალიფიციური მსაჯობა რეგბის სანახაობრივ მხარესაც ზიანს აყენებს, მაყურებელსაც აბნევს და მეტოქე გუნდებშიც დიდ უკმაყოფილებას იწვევს, რაც ზოგჯერ სერიოზულ კონფლიქტში გადაიზრდება ხოლმე. ამიერიდან ეს აღარ უნდა მოხდეს, რაშიც, იმედია, ვეტერანი რეგბისტებიც დაგვეხმარებიან — მსაჯობაზე უარს არ იტყვიან. რესპუბლიკაში კვალიფიციური მსაჯების სიმცირეს თუნდაც ის ადასტურებს, რომ გასულ სეზონში საკავშირო ტურნირის მატჩებში სამსაჯოდ მხოლოდ ორნი — კაჭარავა და მე მიგვიწვიეს.

თბილისის „ლოკომოტივისა" და „დინამოს" მწვრთნელებს გ. ტონიასა და გ. მრელაშვილს ერთნაირი შეკითხვებით მივმართეთ:

**● როგორ აფასებთ განვლილი სეზონის შედეგებს საერთოდ და თქვენი გუნდისთვის კონკრეტულად? ვის გამოყოფდით გუნდის დებიუტანტებიდან და რა აზრისა ხართ რეზერვის როლზე? როგორია თქვენი კოლექტივის სამერმისო ამოცანები?**

ჯერ გ. ტონიას მოვუსმინოთ:

— პირველი შეკითხვა ალბათ იმას გულისხმობს, ბრინჯაოს მედლებით კმაყოფილი ვართ თუ არა. რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან მწვრთნელი კმაყოფილი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როცა მისი აღსაზრდელები ოქროს მედლებს ღირსეულად, გარჯით მოიპოვებენ და არა სხვა გუნდების შემთხვევითი მარცხის წყალობით. მართალია, წინა სეზონის V ადგილიდან III ადგილზე გადავინაცვლეთ, სპორტის ოსტატის სახელი მოიპოვა კიდევ შვიდმა რეგბისტმა — მოდებაძემ, ნაცვლიშვილმა, კილასონიამ, ბენდიაშვილმა, ჯაფარიძემ, აიწურაძემ და სანებლიძემ, გუნდს თითქოს თავი არ დაუზოგავს, მაგრამ მეტი შეიძლებოდა, შინ ნაწვნევი რამდენიმე დასანანი მარცხი რომ არა.

რაც შეეხება სეზონს საერთოდ, სსრ კავშირში რეგბის განვითარებაში იგი ახალი ეტაპი იყო, რომელმაც ნაყოფი მომავალ საერთაშორისო ტურნირებში უნდა მოგვცეს. ვფიქრობ, ჩემპიონატის ორ წრედ (შინ და გარეთ) გამართვამ კლასი საგრძნობლად აამაღლა, გუნდებმა თამაშის საკუთარი სტილი და ბრძოლის მეთოდები შექმნეს, მწვრთნელებს რეგბისტებთან მუშაობის მეტი საშუალება მოგვეცა. თუ წინა წლებში ჩემპიონატის შემჭიდროებულ ვადებში გამართვის გამო გუნდის გადახალისებაში, ტაქტიკის შეცვლაში გაბედული ნაბიჯის გადადგმას ვერ ვბედავდით, ახლა, პირიქით, სწორედ ამას უნდა უმადლოდეს მოსკოვის „სპარტაკი" (პირველი წრის მერე მას I ლიგის დატოვება ემუქრებოდა). მწვრთნელმა ბოლდირევმა შეძლო გუნდის წევრებში რწმენა შეეტანა, თამაშის ტაქტიკა შეეცვალა და I ლიგაში ადგილიც შეინარჩუნა. შეინიშნებოდა ნაკლიც, განსაკუთრებით, მასპინძლობაში. მსაჯობაც უფრო მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო, თუმცა წინსვლა ამ მხრივაც შესამჩნევი იყო.

პერსპექტიული დებიუტანტების მიმართ სამდურავი არ გვეთქმის. ამ სეზონში კარგად ითამაშეს გიორგაძემ, რომელიც საბჭოთა არმიაში გაიწვიეს, უნივერსიტეტის სტუდენტმა ლაზიშვილმა, ხელოვნებათმცოდნე ჩუბინიშვილმა, სალთხუციშვილმა... კარგი რეზერვი წარმატების აუცილებელი პირობაა, მაგრამ სად ვეძებოთ ახალი მოთამაშეები? საამისოდ საჭიროა შეიცვალოს საქართველოს ჩემპიონატების სისტემა, ვინაიდან პირველობის ერთ კვირაში დამთავრება სასიკეთოს არაფერს იძლევა. რესპუბლიკური ტურნირი უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს, როგორც მოსკოვში ტარდება.

სამერმისო გეგმები? საგაისო ჩემპიონატისთვის მზადება უკვე დავიწყეთ. დეკემბრის დამლევამდე ძირითად ყურადღებას ტექნიკას დავუთმობთ, მერე დაიწყება წვრთნის ახალი ციკლი, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი საერთო ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას დაეთმობა. ჩვენი ამოცანაა 1973 წლის საკავშირო ჩემპიონატში უკეთ ვითამაშოთ, უფრო მაღალი ადგილისთვის ვიბრძოლოთ. ამ მიზანს მივაღწევთ, თუ გუნდის წევრებიც საქმეს უფრო გულისხმიერად მოეკიდებიან. დასამალი როდია, გუნდი, თუ შეიძლება ითქვას, მხოლოდ ენთუზიაზმს ეყრდნობა, თითქმის არავინ მატერიალურად დაინტერესებული არ არის, ყველა მუშაობს, წვრთნისთვის კი დრო თითქმის არ რჩებათ. უმაღლეს ლიგაში თბილისის „დინამოს" დაბრუნებას მივესალმებით. ეს ქართული რეგბის მორიგი გამარჯვებაა.

გ. მრელაშვილი:

— თბილისის „დინამოს" კარგი ტრადიცია უდავოა, მაგრამ შარშან კოლექტივმა I ლიგაში ადგილი ვერ შეინარჩუნა, ვინაიდან ჩემპიონატის პირველივე მატჩში მსი-ს დამარცხების შემდეგ მას საკუთარ ძალაზე ზედმეტი წარმოდგენა შეექმნა. ამას სუსტი ფიზიკური მომზადებაც დაემატა. თან გუნდს ბედმაც უმტყუნა: ქუთაისში ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე „დინამომ „ლოკომოტივთან" წააგო მატჩი (8:9), რომელსაც ანგარიშით 8:0 იგებდა. მე გუნდი შარშან დეკემბერში ჩავიბარე. კოლექტივიდან თერთმეტი ძირითადი მოთამაშე იყო წასული, ამიტომაც წლეულს ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიხდა. შევარჩიეთ ნიჭიერი ახალგაზრდები, გუნდს დავუბრუნეთ ვეტერანები დავითაია, ბენიაშვილი, ფაჯიშვილი, კიზირია და სხვები. ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო შეთანხმებული კოლექტივი შეგვეკრა, რასაც მივაღწიეთ. წლეულს I ლიგის ერთადერთი საგზურისთვის ყველა დინამოელი თავგანწირვით იბრძოდა და საგზური ისე მივიღეთ, II ლიგის გუნდების ტურნირში ქულაც არ დაგვიკარგავს.

ის უფრო მახარებს, რომ გუნდი სულიერად არასოდეს დაცემულა. ფინალურ ტურნირში საგზურის ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტთან — ნალჩიკის „სპარტაკთან" ჩვენები აგებდნენ ანგარიშით 0:10, მაგრამ შემდეგ ასე მოიგეს — 26:10. ერთი სიტყვით, სეზონის შედეგით კმაყოფილი ვართ.

რაც შეეხება პერსპექტიულ ახალგაზრდობას, გუნდის დებიუტანტებს, მათგან პირველ ყოვლისა უნდა დავასახელო სამმეოთხედელები ქვალაძე, ცინცაძე, შერკინების მოთამაშენი მამულაშვილი, თუშიშვილი და რამიშვილი. ამას წინათ გუნდი კიდევ შევავსეთ: კოლექტივში მოვიდნენ თბილისის „სპარტაკიდან" ანდღულაძე, ნიჟარაძე, კორომინაძე, დადეშქელიანი.

საგაისოდ ჩვენი ძირითადი ამოცანა ასეთია: მინიმუმი — შევინარჩუნოთ ადგილი I ლიგაში; მაქსიმუმი — ვიბრძოლოთ მაღალი ადგილისთვის. ამასთან, გვინდა მაყურებელს ვუჩვენოთ ლამაზი, ტექნიკური, მიმზიდველი რეგბი. ვიბრძოლებთ გუნდში დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებისთვის. რეგბი მეტად შრომატევადი სპორტია და უდისციპლინოებს არ უყვარს.

დასასრულს ჩვენც გვაქვს სათხოვარი: ვფიქრობთ, ყველა რეგბისტისა და ყველა მწვრთნელის სურვილია პრესის მუშაკები უფრო მეტად დაგვეხმარონ ამ სახეობის პროპაგანდაში.



სურათზე: მოსკოვის „ფილის" და თბილისის „ლოკომოტივის" შეხვედრის მომენტი.

---

სსრკ 50

# „სპარტაკი" გამოცდებს ატარებს

თბილისის სპორტულ ბაზებზე გაიმართა პროფკავშირთა იმ დარგობრივი კომიტეტების ნაკრები გუნდების სპარტაკიადა, რომლებსაც „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო ემსახურება. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამ ასპარეზობის პროგრამაში იყო ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ტყვიის სროლა, ცურვა, ტურიზმი. შეჯიბრებათა ერთ-ერთ ძირითად მიზანს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაც შეადგენდა.

გთავაზობთ ფრენბურთელთა და მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობის შედეგებს.

## ფრენბურთის ბადესთან

ფრენბურთელებს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტკლუბ „სინათლის" ბაზები მასპინძლობდა. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ კულტურის, კვების, სახელმწიფო ვაჭრობის, სახელმწიფო დაწესებულებების, მედიცინის, განათლების, ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების ვაჟთა და ქალთა, აგრეთვე, კავშირგაბმულობის (ქალთა), სამოქალაქო ავიაციისა და ავტოტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირების (ვაჟთა) გუნდები.

ქალთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ნაკრებმა, რომელმაც ფინალურ ტურნირში გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო კვების მრეწველობის მუშაკთა კავშირის კოლექტივს — 3:0. III ადგილზეა განათლების მუშაკთა პროფკავშირის გუნდი.

ვაჟთა შორის ჩემპიონობა მოიპოვეს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა სახვაჭრობის ნაკრები, III — მედიცინის მუშაკთა კავშირის გუნდი.

ტურნირმა ცხადყო, რომ ზოგიერთი გუნდი ასპარეზობისთვის სათანადოდ არ იყო მომზადებული, რაც პროფკავშირთა დარგობრივმა კომიტეტებმა შემდეგისთვის უნდა გაითვალისწინონ.

**ლ. აბაშმაძე.**

## ცოლ-ქმარი ერთ გუნდში

მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობას რატომღაც თავი აარიდეს საქართველოს ავიამომსახურებისა და გეოლოგიური სამმართველოს კოლექტივებმა. ტურნირში საუკეთესო იყო ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური საყოფაცხოვრებო მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებული კოლექტივი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. ამ გუნდის წარმატება შემთხვევითი როდია. კოლექტივს სათავეში უდგას საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ა. არუთინოვი. გუნდის შემადგენლობაში არუთინოვის გარდა შედიან ცოლ-ქმარი იზაბელა და ალექსანდრე გიგაშვილები. აგრეთვე, ი. ლიუბარსკი და მ. პაპუკაშვილი. ეს კოლექტივი თბილისის თასის ორგზის მფლობელია.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მაგიდის ჩოგბურთელებმაც. მათ (ი. მეგრელიშვილი, კ. მურადოვი, ა. სუჯაშვილი, ჟ. ხურშუდიანი და კ. ჩხიკვაძე) მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს. III ადგილზეა საქართველოს ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს კოლექტივი.

**ა. ბურასაშვილი.**

---

## ასპინძა

დამთავრდა რაიონული პირველობა ფეხბურთში. I ადგილი დაიკავეს იდუმალელმა კოლმეურნეებმა (მწვრთნელი ვ. აფციაური). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ასპინძის საშუალო სკოლისა და განათლების განყოფილების სპორტსკოლის გუნდები. საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრებები ფრენბურთში. ვაჟთა შორის წარმატება წილად ხვდათ სოფელ ტოლოშის სპორტსმენებს (მწვრთნელი მ. ნადირაძე), ქალთა შორის კი უძლიერესი იყო სოფელ ოშორის (მწვრთნელი ჯ. მეფარიძე) გუნდი.

**ვ. ციხაძე,**
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი-72

# თბილისის „დინამო“: ცეილონი — სინგაპური

დღეს მოსკოვში გაფრინდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები. იქიდან ისინი ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად გაემართებიან ცეილონსა და სინგაპურში. თბილისელები ტურნეს 8 დეკემბრისთვის დაამთავრებენ.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „განთიადი“ (ბორჯომი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:1. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

მასპინძელთა უპირატესობა თავიდანვე შესამჩნევი იყო. ანგარიში გახსნა გუგუბერიძემ, ხოლო შესვენების შემდეგ კახელიშვილმა ხობელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა. მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე, გვასალიამ 11-მეტრიანი დარტყმით შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

უწესო საქციელისთვის გაფრთხილება მიიღო ბორჯომელმა თ. ლურსმანაშვილმა. ეს მისი მესამე გაფრთხილებაა წლევანდელ სეზონში.

● „კოლმეურნე“ (წულუკიძე) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0. მსაჯი მ. ხიჭინავა (გუდაუთა).

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

რესპუბლიკის ჩემპიონი — სამტრედიის „ლოკომოტივი“ ბოლო წუთებამდე აგებდა ანგარიშით 1:2. ჩემპიონის პრესტიჟი იხსნა მანჯგალაძემ.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

ანგარიში მე-15 წუთზე გახსნეს სტუმრებმა (ოდიშარია), რის შემდეგ ინიციატივას მთლიანად „ქართლი“ დაეუფლა და გაიმარჯვა კიდეც (ამბრიაშვილი, ფსუტური).

● „ისანი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 2:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

თელაველმა იმერლიშვილმა პირველ ტაიმში დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ სუხაშვილმა გაქვითა ეს გოლი, ხოლო შემდეგ ჭავჭავაძემ გამარჯვება მოუტანა „ისანს“.

● „სამცხე“ (აწყური) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 4:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

თავი გამოიჩინა აწყურელმა ბარძიმაძემ, რომელმაც გარდაბნელთა კარში ოთხივე ბურთი გაიტანა.

● „სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:3. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „გიგანტი“ (ლაითური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

ლაითურელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ორაგველიძემ, მასპინძელთა კარი კი ბერდნიკოვმა აიღო.

● „ივერია“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ხაშურელები დაწინაურდნენ 23-ე წუთზე ოსაძის მიერ გატანილი პენალტით, მაგრამ მერე გუნდმა შეასუსტა თამაში, რითაც კარგად ისარგებლა „მეტალურგმა“: ცინცაძემ და გლონიანოვმა ორი ბურთი მოათავსეს „ივერიის“ კარში.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

ცხაკაიელებმა საუცხოოდ ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს, ამასთან, სამივე გოლი ძაგანიამ გაიტანა.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„კოლმეურნე“ (ტიბაანი) — „მევენახე“ (ბოლნისი) 4:1, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:2, „მევენახე“ (ვაზისუბანი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 5:0, „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:1, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:2. გურჯაანის „ალაზანს“ მოგება ჩაეთვალა თბილისის „შევარდენთან“.

#### ზონალური შეჯიბრება

„ავტომობილისტი“ (ჩაქვი) — „ლიახვი“ (გორის რაიონი) 3:1, „ფეიქარი“ (ქუთაისი) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 3:0, კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო“ (ოჩამჩირე) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 1:2, „ფეიქარი“ (ქუთაისი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 22 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 39 | 28 | 9 | 2 | 80—37 | 65 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 39 | 25 | 9 | 5 | 85—39 | 59 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 39 | 19 | 10 | 10 | 66—36 | 48 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 40 | 15 | 14 | 11 | 58—63 | 44 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 39 | 14 | 13 | 12 | 68—61 | 41 |
| „სულორი“ (ვანი) | 40 | 15 | 11 | 14 | 46—43 | 41 |
| „კახეთი“ (თელავი) | 39 | 17 | 7 | 15 | 57—60 | 41 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 39 | 15 | 9 | 15 | 66—56 | 39 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 39 | 15 | 9 | 15 | 61—52 | 39 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 39 | 16 | 5 | 18 | 59—60 | 37 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 39 | 12 | 13 | 14 | 38—44 | 37 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 39 | 15 | 7 | 17 | 57—66 | 37 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 39 | 15 | 7 | 17 | 49—62 | 37 |
| „სამცხე“ (აწყური) | 39 | 14 | 8 | 17 | 68—62 | 36 |
| „ისანი“ (თბილისი) | 39 | 12 | 12 | 15 | 37—45 | 36 |
| „ივერია“ (ხაშური) | 39 | 15 | 6 | 18 | 47—66 | 36 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 39 | 12 | 11 | 16 | 36—45 | 35 |
| ასკ (თბილისი) | 38 | 10 | 14 | 14 | 49—52 | 34 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 39 | 11 | 10 | 18 | 61—68 | 32 |
| „კოლმეურნე“ (წულუკიძე) | 39 | 9 | 8 | 22 | 28—62 | 26 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 39 | 5 | 10 | 24 | 27—64 | 20 |



თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა საქართველოს პროფსაბჭოს, დონეცკის, დნეპროპეტროვსკის, რიგის „დინამოსა“ და განათლების განყოფილების, ბელგოროდ-დნესტროვსკის მოზარდთა და ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლების აღსაზრდელთა ტურნირი მძლეოსნობაში. სარბიელზე უნდა გამოსულიყვნენ ის მოზარდი სპორტსმენებიც, რომლებმაც ამას წინათ მახარაძეში გამართულ შესარჩევ შეჯიბრებაში გამოიჩინეს თავი. სამწუხაროდ, თბილისში მათგან არც ერთი ქუთაისელი არ ჩამოვიდა.

პირველი ამგვარი ტურნირი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შარშან ნოემბერში ჩატარდა, ისე კი მეგობრები ერთმანეთს ყოველწლიურად რამდენიმეჯერ ხვდებიან ხან დონეცკში, ხან დნეპროპეტროვსკში, ხან რიგაში, რაც „სპორტის დედოფლის“ მომავალ რაინდთა დაოსტატების საუკეთესო საშუალებაა.

სპეციალისტების აზრით, თბილისის სტარტები ცოტა ნაგვიანევია, თორემ ისე მეტად სასარგებლო ღონისძიებაა, რაც ამ შეჯიბრებამაც დაადასტურა. გამარჯვებისთვის ორი ასაკის (1954-56 და 1957-58 წლებში დაბადებულნი) სპორტსმენები იბრძოდნენ. დღევანდელი ამ ასაკის სპორტსმენებიდან უმეტესობა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის და შესაძლოა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვისაც უნდა გამოადგეს ნაკრებ კოლექტივებს.

შედეგებს ვერ დავემდურებით. მართალია, სპორტის ოსტატის ან სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს ვერავინ შესწვდა (სწორედ ნაგვიანევი სტარტის გამო), მაგრამ გამარჯვებულთაგან უმეტესობამ I და II თანრიგების შესაბამის ნორმატივებს გადააჭარბა. მასპინძლებმა კარგად იასპარეზეს — ორივე ასაკის პროგრამით 51 სახეობიდან 29 მოიგეს, ზოგიერთ სახეობაში კი მეტოქეთ ერთი საპრიზო ადგილიც არ დაუთმეს. მწვრთნელ ნ. ლობჟანიძის აღსაზრდელებმა გ. გაბუნიამ (39,12), თ. ჯაფარაშვილმა (38 მ) და დ. ლაზარაშვილმა (36,44) ყველა საპრიზო ადგილი დაიკავეს 600-გრამიანი შუბის ტყორცნაში (ამ სახეობაში ი. გიგაურის მოწაფემ რ. ალახვერდოვმა, რომელიც უკონკურსოდ გამოვიდა სარბიელზე მოზარდთა შორის რესპუბლიკური რეკორდის დასამყარებლად, მიზანს მიაღწია — 71,40 მ).

საქართველოს მძლეოსნებმა ასევე სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს უფროსი ასაკის გოგონათა შორის 200 მეტრზე რბენასა და სიმაღლეზე ხტომაში, ჭაბუკთა შორის — 100 მეტრზე რბენაში, სიმაღლეზე ხტომაში, ბადროს ტყორცნაში. შუბის ტყორცნაში მათ I-IV, ხოლო სიგრძეზე ხტომაში I-V ადგილები ხვდათ.

ტურნირში პირველი თანრიგის ნორმატივს რვა მძლეოსანი შესწვდა. მათგან ოთხი მასპინძელთა გუნდის წევრი იყო, სამი — დნეპროპეტროვსკელი, ერთიც — ბელგოროდ-დნესტროვსკიდან.

შეჯიბრების მონაწილეთათვის ხუთი სპეციალური პრიზი იყო დაწესებული. საქართველოს პროფსაბჭოს სამი პრიზიდან ერთი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის შ. კილაძის სახელობის ჯილდო მოიპოვა შუბის მტყორცნელმა ალახვერდოვმა, რომელმაც რეკორდის დამყარების შემდეგ 800-გრამიანი შუბის ტყორცნაში გაიმარჯვა — 61,32 მ.

უკრაინელ მძლეოსანთაგან საუკეთესოსთვის დაწესებული პრიზი მიიღო უმცროსი ასაკის ბიჭებს შორის 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა, ბელგოროდდნესტროვსკელმა მ. სვეტლიჩნიმ (11,0), რომელმაც I თანრიგის ნორმატივი შეასრულა. მისი წარმატება მით უფრო თვალსაჩინოა, რომ მესტარტე ნ. გევენავამ, რომელმაც ცრუ სტარტისთვის მონაწილენი ორჯერ უკან დააბრუნა, მესამედ „ვერ შეამჩნია“ თავისივე აღსაზრდელის პ. გახელაძის ასეთივე შეცდომა.

# მატჩები კარგი სკოლაა

ლატვიელთაგან საუკეთესოსთვის დაწესებული პრიზი გადაეცა უმცროსი ასაკის გოგონათა შორის შუბის ტყორცნაში უძლიერესს ლ. ბლოდნიეცეს (რიგა, „დინამო“) — 41,15 მ.

თბილისელმა ტ. ეროხინამ მიიღო „სპარტაკის“ პრიზი, როგორც საზოგადოების მძლეოსანთა შორის საუკეთესომ. ეროხინამ 100 (12,4) და 200 მეტრზე (26,1) რბენა მოიგო.

გ. გუნჩინს წილად ხვდა „განთიადის“ პრიზი, რომელიც დაწესებული იყო ამ საზოგადოების მძლეოსანთა შორის უძლიერესისთვის. გუნჩინმა უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის სიგრძეზე ხტომაში იმარჯვა — 663 სმ.

**რ. მაღრაძე.**

• • •

გთავაზობთ მხოლოდ გამარჯვებულთა ტექნიკურ შედეგებს:

**უმცროსი ასაკი. გოგონები. რბენა. 400 მ.** დ. ანტენე (რიგა, „დინამო“) — 1.00,9; **800 მ.** ლ. ბადრიძე — 2.27,8. **100 მეტრზე თარჯრბენი.** ქ. ადეიშვილი (ორივე — საქართველო) — 16,9. **ესტაფეტა 4×100 მ.** რიგის „დინამო“ — 52,5. **სიგრძეზე ხტომა.** ე. ტაიპოვა (დონეცკი) — 514, **სიმაღლეზე ხტომა.** მ. კიკნაველიძე — 160. **ბადროს ტყორცნა.** თ. დათუკაშვილი (ორივე — საქართველო) — 40,24. **ბირთვის კვრა.** დ. ასმა (რიგა, „დინამო“) — 10,32. **ბიჭები. რბენა. 200** და **400 მ.** ნ. ოდინეცი — 23,4 და 52,1; **800 მ.** ს. მანუკიანი (ორივე — საქართველო) — 2.04,7; **1500 მ.** ნ. ბულინინი (რიგა, განათლ. განყ.) — 4.25,1. **ესტაფეტა 4×100 მ.** საქართველო — 44,9. **110 მეტრზე თარჯრბენი.** ბ. ქორიაული (საქართველო) — 16,5. **სიგრძეზე ხტომა.** მ. სვეტლიჩნი — 636. **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. ტროფიმოვი (ორივე — ბელგოროდ-დნესტროვსკი) — 180. **სამხტომი.** გ. ბილაშვილი — 12,78. **ბადროს ტყორცნა.** თ. ოდიშვილი — 44,88. **უროს ტყორცნა.** დ. წოწკოლაური — 51,48. **ბირთვის კვრა.** ვ. დვალი (ყველა — საქართველო) — 13,61.

**უფროსი ასაკი. გოგონები. რბენა. 100 მ.** ა. ბუშევიცა (რიგა, „დინამო“) — 12,8; **200 მ.** ტ. ივანოვა (საქართველო) — 27,1; **400 მ.** ი. ოსადჩუკი (დნეპროპეტროვსკი) — 1 წ.; **800 მ.** ს. მაკაროვა — 2.23,6. **100 მეტრზე თარჯრბენი.** ა. ბროკა (ორივე — რიგა, განათლ. განყ.) — 15,2. **სიგრძეზე ხტომა.** ი. სოკოლოვსკაია (დნეპროპეტროვსკი) — 532. **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. მინაკოვა (საქართველო) — 160. **ბადროს ტყორცნა.** ნ. შაპირო (დნეპროპეტროვსკი) — 45.48. **შუბის ტყორცნა.** ტ. შტუკატუროვა (საქართველო) — 40,57. **ბირთვის კვრა.** შაპირო — 14,12. **ჭაბუკები. რბენა. 100** და **200 მ.** ა. ივანოვი — 11,1 და 23,1; **400** და **800 მ.** ვ. ზელდკინი (ორივე — საქართველო) — 51,6 და 2.03,3; **1500 მ.** ი. კროპსი (რიგა, „დინამო“) — 4.30,9. **110 და 400 მეტრზე თარჯრბენი.** ს. კურატოვი (დნეპროპეტროვსკი) — 15,3 და 58,3. **4×100 მეტრზე ესტაფეტა.** საქართველოს I გუნდი — 44,6. **სიმაღლეზე ხტომა.** ა. კუზინი — 195. **სამხტომი.** გ. პლიევი — 13,86. **ჭოკით ხტომა.** ა. მარავსკი — 4 მ. **ბადროს ტყორცნა.** ს. ძურძუკი (ყველა — საქართველო) — 43,50. **ბადროს ტყორცნა.** ს. ჩუბაჩენკო (დნეპროპეტროვსკი) — 56,78. **ბირთვის კვრა.** ი. პუგაჩოვი (რიგა, განათლ. განყ.) — 12,70.

• • •

**სურათზე:** 100 მეტრზე მორბენალი გოგონები სტარტზე.

ო. გელაშვილის ფოტო.

## სამეურნეო სპორტსმენთა

**ზესტაფონი**

მე-4 საშუალო სკოლაში თვენახევარზე მეტ ხანს გასტანა საშემოდგომო ასპარეზობამ ფეხბურთელთა 9 გუნდის მონაწილეობით. გაიმარჯვა X3 კლასის ნაკრებმა. შეჯიბრების შემდეგ სკოლის ჩემპიონი შეხვდა სოფელ ცხრაწყაროს საშუალო სკოლის კოლექტივს და ფრედ დაამთავრა თამაში — 2:2. საინტერესო იყო მოჭადრაკეთა და მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებებიც. ჭადრაკში გაიმარჯვეს ზესტაფონელებმა, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — ცხრაწყაროელებმა.

**ა. განუგრავა.**

# სიახლენი ფარიკაობის წესებში

საფარიკაო სამყაროში დიდმნიშვნელოვან მოვლენად ითვლება საერთაშორისო ფედერაციის (ფიე) არჩევნები, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ფიე-ს სათავეში უდგას პრეზიდენტი. მას მუშაობაში ეხმარებიან გენერალური მდივანი და მდივანი-ხაზინადარი. სხვათა შორის, ფიე-ს წესდების მიხედვით ფედერაციის ხელმძღვანელები თანამემამულეები უნდა იყვნენ.

წლევანდელ არჩევნებში ფიე-ს პრეზიდენტად კვლავ დაასახელეს ფრანგი პიერ ფერის კანდიდატურა. თუ კი წინათ ფიე-ს პრეზიდენტობის კანდიდატად ერთდროულად რამდენიმე კაცს ასახელებდნენ, წლეულს ფერის არც ერთი მეტოქე არ ჰყოლია. იგი ერთხმად აირჩიეს ოთხი წლის ვადით პრეზიდენტად.

იმასთან დაკავშირებით, რომ ფიე-ს გენერალური მდივანი ანრი დიულიე გადადგა, მის ნაცვლად აირჩიეს ედგარ მერსიე, რომელიც მანამდე ამ ფედერაციის მდივანი-ხაზინადარი იყო.

ფიე-მ 1973 წლის 1 იანვრიდან დაამტკიცა მსოფლიოს უფროსებისა და ახალგაზრდების პირადი ჩემპიონატების ახალი სისტემა. აქამდე შეჯიბრებები ფინალამდე ტარდებოდა წრიული სისტემით, რომელშიც 6-6 სპორტსმენი მონაწილეობდა. ახლა ასპარეზობის შუა ეტაპის სისტემა შეიცვალა: 6-6-ის ნაცვლად ჯგუფებში 4-4 სპორტსმენი შევა. ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატებისა და სხვა ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრებების ახალი სისტემა გულისხმობს შემდეგს: I და II ტურებში მონაწილეები დაიყოფიან 6-6 მოფარიკავისგან შემდგარ ჯგუფებად. შემდეგ, როცა დარჩება 48 ან 24 კაცი (ეს დამოკიდებულია სპორტსმენთა რაოდენობაზე), მათთვის გაიმართება ორი ან სამი ტური 4-4 მონაწილით. ბრძოლები ამ ჯგუფებში ჩატარდება შემდეგნაირად: პირველი სერია — 1—4, 2—3, მეორე სერია — გამარჯვებულები ხვდებიან დამარცხებულებს, მესამე სერიაში გაიმართება ორი დარჩენილი შეხვედრა. ფინალური ნაწილი არსებული წესების მიხედვით ჩატარდება.

# სამბისტები ლატვიის დედაქალაქში იყრიან თავს

რიგა, 21 ნოემბერი. ლატვიის დედაქალაქი სამბოში ევროპის I ღია ჩემპიონატის მოლოდინშია. სპორტის სასახლეს, სადაც მედლების ათი კომპლექტი უნდა გათამაშდეს, მორიგი ცვლილება განიცადა. ჯერ კიდევ კვირას დიდ სარბიელზე „დინამოს" საუკეთესო ფიგურისტები ასპარეზობდნენ, ორშაბათს კი ყინულზე საიზოლაციო ფილები დააწყვეს და მერე ორი ხალიჩა დააფინეს.

ჩემპიონატს რიგის კომკავშირი შეფობს. რაიონულმა კომიტეტებმა სპეციალური პრიზები დააწესეს: გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის, ყველაზე ახალგაზრდა პრიზიორისთვის და სხვ. მხატვარ ო. ოზოლსის ესკიზებით დამზადებულია მედლები პრიზიორებისთვის, აგრეთვე, შეჯიბრების ყველა მონაწილისა და ოფიციალური პირისთვის განკუთვნილი სამახსოვრო მედლები.

უცხოელ სპორტსმენთაგან რიგას პირველნი ესტუმრნენ იაპონელი მოჭიდავეები, რომლებმაც უკვე მოასწრეს საბჭოთა გუნდთან ერთობლივი საწვრთნელი მეცადინეობის ჩატარება. სტუმართა შორის ბევრი სახელგანთქმული ათლეტია, მათს დელეგაციას კი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს თხზვის ჩემპიონი შოზო სასახარა მეთაურობს. გუნდის მწვრთნელია ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონი ისაო ინოკუმა.

სსრ კავშირის გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ს. იონოვმა აღნიშნა, რომ იაპონელმა მოჭიდავეებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეორე საშუალო წონის წარმომადგენელი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ძიუდოში ნაბუიუკი სატო.

დღეს რიგაში ჩამოვიდნენ ესპანეთისა და ირანის გუნდები, ხვალ კი აქ ბელგარეთის, დიდი ბრიტანეთის, მონღოლეთისა და იუგოსლავიის დელეგაციებს ელიან.

საბჭოთა ნაკრებში ვნახავთ მაიკოპელ სტუდენტს, იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონს, საკავშირო პირველობაში ორგზის გამარჯვებულს ვ. ნევზოროვს (70 კგ-მდე). სსრ კავშირის ღირსებას დაიცავენ, აგრეთვე, ლიტველი ჩ. ეზერსკასი (80 კგ-მდე), პოლოლსკელი კ. რომანოვსკი (86 კგ-მდე), სვერდლოვსკელი ა. ფიოდოროვი (75 კგ-მდე). გუნდში ყველაზე გამოცდილად უნდა ჩაითვალოს მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ძიუდოში, მძიმეწონოსანი ვ. კუზნეცოვი (მოსკოვი). უმჩატეს წონაში საბჭოთა ნაკრების ინტერესებს დაიცავს ლენინგრადელი ვ. კიულენენი, მჩატეში — ა. ხოში (ომსკი), ქვემსუბუქში — კ. გერასიმოვი (სარატოვი), მეორე საშუალოში — ე. ხოლოდუხინი (მოსკოვი), ქვემძიმეში — ს. ნოვიკოვი (კიევი).

დღეს სპორტის სასახლეში მუშაობა დაიწყო მსაჯთა სემინარმა, რომელმაც უნდა მოამზადოს პირველი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები სამბოში.

ჩემპიონატის ოფიციალური გახსნა 23 ნოემბერს მოეწყობა. მაყურებლები იხილავენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული ჭიდაობის სახეობებს — უზბეკურ კურაშს, მოლდავურ ტრინტეს, სომხურ კოხს, აზერბაიჯანულ გიულეშს და სხვებს, რომელთა საფუძველზეც წარმოიშვა სამბო.

ჩემპიონატის პირველ სამუშაო დღეს — 24 ნოემბერს — გამოვლინდებიან გამარჯვებულები უმჩატეს, პირველ ქვესაშუალო და მეორე საშუალო წონით კატეგორიებში.

საქინი ინფორმაცია

## ახლა ლევიტინა

ტოლიატიში ქალთა საკავშირო ჩემპიონატის 13 ტურის შემდეგ 20 გადადებული პარტია დაგროვდა. 7 პარტია ისე დამთავრდა, რომ თამაში არ განახლებულა. ყაიმზე შეთანხმდნენ: ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — ლ. საუნინა (სვერდლოვსკი), ე. რუბცოვა (მოსკოვი) — ა. კისლოვა (ომსკი), მ. რანიკუ (ტალინი) — ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ხოლო ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი) დანებდა კოზლოვსკაიას, თ. ბელოვა (ფსკოვი) — ლ. იდელჩიკს (ხარკოვი), მ. სამული (ტალინი) — მ. შულს (ლვოვი) და ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი).

ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ბელოვამ ფარ-ხმალი დააყრევინა შულს, ლ. სემიონოვამ (კიევი) — სამულს, ბორისენკომ — რანიკუს. ყაიმზე შეთანხმდნენ მედიანიკოვა და ა. მკრტჩიანი (ტაშკენტი).

იდელჩიკს ზედმეტი ფიგურა ჰქონდა კოზლოვსკაიასთან, მაგრამ შეხვედრა ვერ მოიგო: ყაიმი. მეორე გადადებული პარტია ლ. შჩერბინასთან (სევასტოპოლი) იდელჩიკმა წააგო. ლ. შადურამ (კურსკი) მოუგო შჩერბინას.

ორი პარტია დაამთავრა ა. ეპშტეინმა (გორკი): მოუგო რუბცოვას და წააგო მკრტჩიანთან.

13 ტურის შემდეგ დაწინაურდა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ი. ლევიტინა — 8,5 ქულა. ნ. კონოპლიოვასა და ვ. კოზლოვსკაიას 8-8 ქულა აქვთ.



● ●

## უკიდურესობამდე დაძაბულად

მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 საკავშირო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრები უკიდურესობამდე დაძაბულად მიმდინარეობდა.

ლიდერი მ. მუხინი (ალმა-ათა) ყაიმით დაკმაყოფილდა ვ. ჟიდკოვთან (კიევი) შეხვედრაში. ყაიმით დასრულდა ა. კაპენგუტ (მინსკი) — ვ. სავონის (ხარკოვი) პარტიაც.

ა. ლეინმა (მოსკოვი) ლ. ალბურტთან (ოდესა) პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, თანმიმდევრული იერიში განახორციელა და გაიმარჯვა.

სხვა პარტიები გადაიდო. რ. ხოლმოვს (მოსკოვი) რ. ჯინჯიხაშვილთან (თბილისი) ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი და უკეთესი შანსი აქვს. ე. გუფელდსაც (თბილისი) პაიკი აკლია ვ. ბაგიროვთან (ბაქო) პარტიაში. ს. ფურმანს (ლენინგრადი) მოსაგები პოზიცია აქვს ლ. შამკოვიჩთან, ი. ბალაშოვს კი ორი ზედმეტი პაიკი — დ. ბრონშტეინთან (სამივე — მოსკოვი). ნ. რაშკოვსკი (კურგანი) — ვ. ტუკმაკოვის (ოდესა), ე. ვასიუკოვ — ი. რაზუვაევის (ორივე — მოსკოვი), გ. კუზმინ (ვოროშილოვგრადი) — ვ. ზილბერშტეინის (ორსკი) პარტიებში რთული პოზიციაა.

კ. გრიგორიან (ერევანი) — მ. ტალის (რიგა) პარტია დიდოსტატის ავადმყოფობის გამო არ შედგა.

4 ტურის შემდეგ მ. მუხინს 3 ქულა აქვს, ა. ლეინს — 2,5.

## „მსუბუქი, ჰაეროვანი"

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ყოველკვირეულმა დამატებამ „64-"მა 45-ე ნომერში გამოაქვეყნა ეტიუდების შედგენაში თავისი შარშანდელი კონკურსის შედეგები. კონკურსში მონაწილეობდა 20 შემდგენლის 22 ეტიუდი.

IV პრიზი დაისაკუთრა თბილისელი კომპოზიტორების მ. კალანდაძისა და რ. თავარიანის ერთობლივმა ნაწარმოებმა.

აი, ეს ეტიუდიც:



თეთრები იგებენ

კონკურსის მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი ან. კუზნეცოვი წერს: „64"-ის 1970 წლის კონკურსის მსაჯი ალ. კუზნეცოვი აღნიშნავდა, რომ ქართულ საჭადრაკო ეტიუდებსა და ქართულ ეროვნულ ხელოვნებას შორის შინაგანი ნათესაობა არსებობს. ეს ნათესაობა განსაკუთრებულ ლაკონიურობაში, თავშეკავებასა და, თუ გნებავთ, ფიგურების მოძრაობის ორნამენტულობაში გამოიხატება. სწორედ ასეთია IV პრიზით აღნიშნული ეტიუდი. თეთრი ეტლები ისე ერთდებიან და იყრებიან, თითქოს ცეკვავენო, შავი მეფე თითქოს თითის წვერებზე მეორე ჰორიზონტალს მიჰყვება, მერე უკან, პირველი ჰორიზონტალით ბრუნდება. უაღრესად ეკონომიურია ფინალი. ეტიუდის აგებულება მინიატურულია, არგუმენტირება — ლაკონიური, საერთო შთაბეჭდილება — მსუბუქი, ჰაეროვანი. ეტიუდს შეიძლება მეტი მოწონება დაემსახურებინა, მსგავსი სისტემატური მოძრაობა ჰ. კასპარიანს მანამდე რომ არ ეჩვენებინა".

ამოხსნა: 1. ეhd8+ მფe2 (1. ... მფc2 2. მფb6 და 3. ეd1. 1. ... მფe1? 2. მფb6 და 3. ეc1+) 2. ეe8+ მფf2 (ისევე 2. ... მფd2 3. ეcd8+, 2. ... მფf1 3. მფb6) 3. ეf8+ მფg2 4. ეg8+ (4. ეf1+? მფ:f1 5. მფd6 მფg2! და ყაიმია) 4. ... მფf2 5. ეcf8+ მფe1 (5. ... მფe2? 6. ეg2+) 6. ეe8+ მფd1 (6. ... მფf2 7. ეgf8+ და 8. ეe1) 7. ეd8+ მფc1 8. ეg2 h1ლ 9. ეdg8 მფe1 (9. ... ლ:h3 10. ეg1+, 11. ე8g2+ და 12. ეg3+) 10. ე8g3! მოგებით (მაგრამ არა 10. მფd6?, ლ:h3! ყაიმით).

## ფეხბურთი

სახელგანთქმული შოტლანდიელი ფეხბურთელი დენის ლოუ ცნობილია იმით, რომ სარბიელს გარეთ ფეხბურთზე ხმას ვერ ამოაღებინებ. როცა ფეხბურთისადმი ასეთი, ცოტა არ იყოს, გულგრილი დამოკიდებულების მიზეზი ჰკითხეს, ლოუმ მიუგო: „კი მაგრამ, განა მენაგვეები კვირა დღეს თავიანთ სამუშაოზე ლაპარაკობენ?".

• • •

მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრებმა 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, გუნდის მწვრთნელს ალფ რამსეის განუწყვეტლივ მისდიოდა სარფიანი წინადადებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ რამსეი უარს ამბობდა ყველა მიწვევაზე. ბოლოს ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა მას უარის მიზეზი, რაზეც მწვრთნელმა უპასუხა: „რას ბრძანებთ, აბა როგორ მივატოვებ ინგლისს, როცა შოტლანდიაშიც კი თავს ისე ვგრძნობ, თითქოს საზღვარგარეთ ვიყო".

• • •

ინგლისის წლევანდელ პირველობაში „მანჩესტერ სიტის" მეკარემ ერთ-ერთ მატჩში დასაწყისშივე ორი იოლად ასაღები ბურთი გაუშვა. მაშინ ამ გუნდის ერთ-ერთი მცველი მეორეს მიუტრიალდა და მეკარის გასაგონად ხმამაღლა თქვა: „ჩვენი მეკარე ყველაზე გლახაა მთელს პირველ ლიგაში. მინდვრიდან დარტყმულ ბურთს რომ ვერ ხედავს, ეგ კიდევ არაფერი — ბადეში გახვეულ ბურთსაც ვერ პოულობს".

## ხუმარა

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი ნობი სტაილსი საქვეყნოდ ცნობილია არა მარტო უხეშობით, არამედ გაუგონარი სიძუნწითაც.

... „მანჩესტერ იუნაიტედის" გუნდი თამაშის შემდეგ გასახდელიდან ავტობუსისკენ მიდიოდა. ერთი თავზე ხელაღებული გულშემატკივარი სტაილსს ეძგერა და თავში ცარიელი ბოთლი ჩასცხო. სასწრაფოდ გამოძახებულმა ექიმმა მცველს თავზე ორი ნაკერი დაადო, შემდეგ დამავებული კარგად გასინჯა და თქვა: ახლა ყველაფერი რიგზეაო. მაგრამ სტაილსს თავი სულაც არ აწუხებდა. იგი ნაღვლიანად დასცქეროდა სისხლში ამოსვრილ ახალ პერანგს და ბოლოს ამოიოხრა: აფსუს, ამ პერანგში ხომ ექვსი გირვანქა სტერლინგი მივეცი.

იქვე მყოფმა ბობი ჩარლტონმა გაიცინა და შენიშნა:

— ნუ ცრუობ, ნობი! შენს სიცოცხლეში ექვსი გირვანქა პერანგისთვის კი არა, კოსტიუმისთვის არ გაგიმეტებია...

(საკ. ინფ.)



• • •

ეს სურათი 1968 წლის 25 სექტემბერსაა გადაღებული ბუენოს-აირესში, როცა ერთმანეთს ადგილობრივი „ესტუდიანტესი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ეთამაშებოდნენ. სტაილსმა ამჯერადაც თავი გამოიჩინა... უხეშობით და იგი მსაჯმა მინდვრიდან გააძევა. ეს „ცერემონიალი" პოლიციის ესკორტის თანხლებით განხორციელდა.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

## „ბემბას" 40 წამი გადაარჩინა

სტეიტლაინი (ნევადის შტატი), 22 ნოემბერი. გუშინ ამერიკის ამ ქალაქის რინგზე მძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პროფესიონალ მოკრივეთა შორის მუჰამედ ალიმ უმაღლესი წოდების ამჟამინდელ მფლობელთან ჯო ფრეზიერთან (ორივე — აშშ) მომავალი მატჩის გზაზე მორიგ წარმატებას მიაღწია: გაიმარჯვა ჩრდილოეთ ამერიკის კრივის ფედერაციის ჩემპიონატში — ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონს, თანამემამულე ბობ ფოსტერს სძლია.

დაგეგმილი 12 რაუნდის ნაცვლად მოკრივეებმა რინგზე შვიდ რაუნდზე ცოტა მეტი დაჰყვეს და არა შვიდი, როგორც ეს შეხვედრის წინ ჟურნალისტებს „აღუთქვა" ალიმ: მერვე რაუნდის მე-40 წამზე მან ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე, რომელიც 1968 წლიდან ატარებს ჩემპიონის წოდებას და ეს ტიტული უკვე თერთმეტჯერ წარმატებით დაუცავს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფოსტერმა მრისხანე მეტოქეს რამდენიმე ძლიერი დარტყმა აგემა.

## „სირინოზი-2" იპოვნეს

„ლელოს" 18 ნოემბრის ნომერში ვიუწყებოდით, რომ 31 წლის იაპონელმა აფროსანმა ქ. ხორიემ დედამიწის ირგვლივ ეულად მოგზაურობა დაიწყო და რამდენიმე დღის ლაშქრობის შემდეგ მის ნავთან „სირინოზი-2" კავშირი გაწყდა. იაპონელმა მოახწრო ეცნობებინა, რომ ნავს ანძა გაუტყდა...

დაკარგულს ძებნა დაუწყეს და ამ ორიოდე დღის წინ ერთ-ერთმა მძებნელმა თვითმფრინავმა აღმოაჩინა კიდეც ეს ფათერაკიანი მოგზაური. იგი საბადრაგო გემმა აიყვანა.

თურმე „სირინოზი-2" იაპონიის ნაპირებიდან 115 კილომეტრის დაშორებით ძლიერ ღელვაში მოჰყვა. ანძები დაემტვრა და ხორიე ველარ მართავდა ნავს.

ᲘᲧᲝ ... 19 45

◆ სუჩავა (რუმინეთი), 22 ნოემბერი. „გოგონათა კროსის" აქ გამართულ ფინალურ სტარტებში 2 ათასი ფიზკულტურელი მონაწილეობდა, სულ კი ამ მასობრივ შეჯიბრებაში მძლეოსნობის 18 ათასზე მეტმა მოყვარულმა ისპარეზა. ამ დღეებში მთელს რუმინეთში მიმდინარეობს კროსები და მასობრივი სპორტული ასპარეზობანი, რომლებიც რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავისადმია მიძღვნილი.

◆ ბრატისლავა, 22 ნოემბერი. სლოვაკიის დედაქალაქში დამთავრდა სტუდენტი კალათბურთელი ვაჟების ტურნირი „17 ნოემბრის თასზე". I ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გდრ-ის, უნგრეთისა და რუმინეთის კოლექტივები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ კვირა

ფეხბურთი. ვარკეთილის სტადიონი. საქართველოს პირველობა. 26 ნოემბერი. „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „ისანი" (თბილისი). დასაწყისი 15 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04715